ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2563 შაბათი, 24 ივლისი 1896—1904 ყოველ-დღიური გამოცემა № 2563

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა. შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

დები—სოფიო მუშრუმიანცისა, ოსანა ობოლგოგიანცისა, ძმა სანდრო, დისწულები—შუშანკა წოვიანოვისა, ევა ტერ-ბაღდასაროვისა, თავიანთ ქმრებით გლახა და გალუა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას მეფურგუნე

ანტონა ზურაბოვისა.

გამოსვენება იქნება კვირას, 25 ივლისს, დილის 10 საათზე, ავლაბრის შამქორელების (კარმირ ავეტარან) ეკლესიაში და იქიდან ხოჯევანქის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველ საღმოს 7½ საათზე. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, კვეზერელი-კოპაძის სახლში. (2—259—2)

განცხადება.

კანტორა ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა გადავიდა განოვის ქუჩაზე, № 12. (ნ. 2—2)

ფოთის საბუხჰალტერო კურსები
(წელიწადი მეხუთე)

სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან და გრძელდება ერთი წელი და ორი თვე. კურსებზე ღებულობენ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. ასწავლიან: 1) საერთო ბუხჰალტერიას მარტივი და ორკეცი სისტემისა. 2) სპეციალურ ბუხჰალტერიას სხვა-და-სხვა დაწესებულებათა: ბანკების, ქარხნების, აქციონერულ საზოგადოებების, დიდ მაღაზიების და სხვათა ამ გვართა. 3) სავაჭრო არითმეტიკას. 4) სავაჭრო ეკონომიას. 5) სავაჭრო გეოგრაფიას. 6) სავაჭრო და სათამასუქო კანონებს. 7) სავაჭრო მიწერ-მოწერას და 8) კალიგრაფიას.

კურსების დამაარსებელი კ. გიგინეიშვილი.

მსურველთ პროგრამებს უგზავნის უფასოდ. (25—5.—9)

საფაბრიკო საწყობი
ქაღალდის ფაბრიკის სააქციონერო საზოგადოებისა
გ. ი. პალლიზენ
რიგის ქაღალდის ფაბრიკის ამხანაგობისა და კოშელევების ქაღალდის ფაბრიკების
ტფილისი, გოლოვ. პროსპ. მანთაშევის სახლში. ბაქო, მილიუტინის ქუჩა, გრანდ-ოტელის ქვემოდ.

ქაღალდი ყოველ-გვარი: ფოსტის, საწერი, წიგნის, ალბომის, გაზეთის, საბეჭდი და მუშტუკი, ბოთლის გასახვევი და სხვა; აგრეთვე წიგნები, კონვერტები, საწერი საკანცელარიო საგნების ტელეფონი № 679. (0—148)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.
მ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.
არ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1—3 საათამდე.
პ. ა. ბეიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველ დღე.
ექ. ქალი მ. კ. იოხელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.
დ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.

საღამოთი:

ზ. მ. ხოზოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.

სამკურნალოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.

სამკურნალოს აქვს ოცი მუდმივი საწოლი.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
(წლ.) ტელეფონი № 274.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 791.

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს ყოველ დღე, დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდი მთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

დოქტორი მედიცინისა
ვ. ი. ინაევი
მიიღებს შიგნეულის, ქალების და ბავშვების ავადმყოფობით შეპყრობილთ, დღისით 1—3 და საღამოთი 5—8 საათამდე.
დასაწყისი მიხეილის ქუჩისა № 47. (10—253—5)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 ივლისი

პეტერბურგი. გენერალ სახაროვის დეპეშა, მთავარ შტაბს 21 ივლისს: „გენერალი ზასულიჩი 18 ივლისს მომხდარ ბრძოლის შესახებ გვატყობინებს: „18 ივლისს, გათენებისას, ჩვენის ჯარის მარჯვენა მხარეს ასტყდა ზარბაზნების სროლა. მე გავეშურე მოწინავე ჯარში. იაპონელები დაეცნენ მაღალ მთებს და ჩვენის ჯარის შუაგულს და ამავე დროს იერიში მიიტანეს გენერალ მიშჩენკოს რაზმსა და ჩვენ მემარჯვენე ფრთეზე. ბრძოლის დაწყებისავე დაეტყო, რომ ჩვენი არტილერია სჯობნიდა მტრისას. ჩვენმა ბატარეებმა არა მარტო ჩააჩუმეს იაპონელთა წინად დადგმული ბატარეები, არამედ არც კი დააცალეს წაეღოთ ზარბაზნები. ზარალი ჩვენ არტილერიას სულ [illegible]ოსდიოდა. 10 საათზე პოდპოლკოვნიკ სოლომკისაგან ბარათი მივიღე. მწერდა: „იაპონელები, რომელნიც მოვლას გვიპირებდნენ, შევაჩერეთ. იმათ დიდი ზარალი მოუვიდათ. ჩვენ ჯარშიაც ბევრია დაჭრილი. მოკლულ იქმნა კაპიტანი კოლიცინსკი, დაიჭრნენ ორი აფიცერი და ექიმი. ჩემი რაზმი მაგრად სდგას“. ამ ბარათის მიღებისათანავე აღმოჩნდა, რომ ჩვენმა რაზმმა თავი მიანება მაღალ მთებზე სამ გორას, მაგრამ პოზიციაზე-კი მაგრა იდგა. პოდპოლკოვნიკ სოლომკას მივაშველე ჯერ ორი, მერე 2 3/4 ბატალიონი; ამასთან გავგზავნე პოლკოვნიკი პოპოვიჩ-ლიპოვეცი და ვუბრძანე, უფროსობა გაეწია ყველა იმ ჯარისთვის, რომელიც ამ პოზიციაზე მოქმედებდა. ჩვენ მემარჯვენე ფრთეზე ჯერ ისევ სროლა იყო. ჩვენი არტილერია წინანდელებრ სჯობნიდა მტრის არტილერიას, თუმცა იაპონელებმა სამთო ზარბაზნებს გარდა სროლა დაიწყეს საველო ზარბაზნებიდანაც. 3 საათსა და 40 წუთზე ამბავი მომიტანეს, რომ იმ პოლკმა, რომელიც მარჯვენა ჯარის განაპირას იდგა, უკან დაიწია მთებიდან, რადგან იაპონელებმა მოუარეს და ექვსი დამტვრეული ზარბაზანიც დატოვებინესო. ბატარეის ორი აფიცერი მოჰკლეს და ორიც დასჭრეს. ბატარეის უფროსი გაიკაწრა. როგორც აღმოჩნდა, იაპონელებს ორი ბატარეა დაედგათ წინანდელ ბატარეებს მარცხნივ და ყუმბარები დაეშინათ როგორც ჩვენ ბატარეისა, ისე მთელ პოლკისთვის. ეს იყო მიზეზი ჩვენის ბატარეის განადგურებისა და მარჯვნივ მდგომ ჯარის შესამჩნევად დაზარალებისა. ჩვენი ბატარეა სრულიად განადგურდა, მაგრამ ოთხ ზარბაზნის გამოტანა მაინც მოვახერხეთ. ოთხი დამტვრეული ზარბაზანი-კი პოზიციაზე დავტოვეთ. მაგრამ ამ ოთხ წამოღებულ ზარბაზნიდანაც, რადგან ცხენები აღარა გვყვანდნენ, იძულებული გავხდით ორი ზარბაზანი წაგვეხდინა და იქვე დაგვეტოვებინა. რათა იაპონელნი მოგვეტყუებინა და იმათი ყურადღება მემარჯვენე ფრთედან სხაგან გადაგვეტანა, 5 საათზე პოლკოვნიკს პოპოვიჩ ლიპოვეცს ვუბრძანე, აგრილებისას სალდათებს აბგები მოეხსნათ და ასე სუმბუქად იერიში მიეტანათ მტერზე. პოლკოვნიკის ლიპოვეცის დასახმარებლად ბატარეებს ვუბრძანე, მხნედ დაეწყოთ სროლა იმ გორაკებისთვის, რომელიც იაპონელებს ეჭირათ. ჩვენმა ყუმბარებმა დიდი ზარალი მიაყენეს იაპონელებს და ბევრი დაუჭრეს და მოუკლეს. ჯარი მწყობრად მიდიოდა; ჩვენის რაზმების იერიშმა ყველა მნახველი აღტაცებაში მოიყვანა. ჩვენი და იაპონელთა რაზმები ხიშტებით ეტაკნენ ერთმანერთს. იაპონელებმა ვერ გაუძლეს ჩვენ ჯარს და თავი მიანებეს სამ გორაკს. დარჩენილი სალდათები ჩვენებმა ამოჟლიტეს. ამ მამაცურ ბრძოლის შემდეგ ვუბრძანე პოლკოვნიკს პოპოვიჩ-ლიპოვეცს შეჩერებულიყო და წინ აღარ წასულიყო; საღამოს 7 საათზე ბრძანება მომივიდა, რომ უკან, ხაიჩენისკენ, დავწეულიყავ. ბრძოლის დროს ყაზახთა პოლკის უფროსი განაგრძობდა ზვერას დაპუძას ხეობაში. ამ უფროსმა მაცნობა, რომ ჩემ მიერ დატოვებული აფიცერი თვალ-ყურს ადევნებდა იაპონელთა მოძრაობას დაპუძას ხეობაშიო. იაპონელთა ჯარი შესდგებოდა 3 დივიზიისაგან. ორ დღეს, 17 და 18-ს, როგორც ჯერ-ჯერობით გამოირკვა, მოგვიკლეს და დაგვიჭრეს 29 აფიცერი და 1000 სალდათზე ცოტა მეტი“.

ლიაოიანი. 22 ივლისი („ჰავასის სააგენტო“). დაშიჩაოსთან ბრძოლის შემდეგ იაპონელები სულ წინ მიიწევდნენ და ახლა რუსეთის ყველა ჯარებს დაუახლოვდნენ. რუსეთის ჯარები რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ დგანან. წინად რუსებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, შეეჩერებინათ უკან დაწევა; გუშინაც ინჟენერებმა სიჩქარით გააკეთეს ხიდი ხაიჩენთან. მაგრამ, რადგან აღმოჩნდა, რომ რუსის ჯარი იაპონელებისაზე ნაკლებია, ამიტომ რუსების მარცხენა ფრთე იძულებული გახდა სიმუჩენის რაიონიდან უკან დაწეულიყო; იძულებული გახდა იმიტომ, რომ იაპონელთა სამი დივიზია გვერდიდან უვლიდა და, შესაძლებელი იყო, რუსებისთვის სრულიად გზა მოეჭრა. ამრიგად, რუსებმა გადასწყვიტეს უკან დაწევა და გუშინ და დღეს ჯარები სრულის წეს-რიგით უკან იწევენ. უკან დახეულ ჯარს იცავს ძლიერი არიერგარდი. რუსის ჯარები ჩრდილოეთისაკენ დაიწევენ და იქ კვლავ დაიჭერენ პოზიციას.

ვაშინგტონი. („როიტ. სააგ.“). გარეშე საქმეთა სამინისტროს მოლაპარაკება აქვს ტელეგრაფით საზღვარ-გარედ ამერიკის ზოგიერთ წარმომადგენლებთან იმის შესახებ, რომ რუსებმა ზღვაზე ხელში ჩაიგდეს და გააფუჭეს ამერიკელების საქონელი. მინისტრი ჯერ-ჯერობით არა ფიქრობს საბოლოო აზრის გამოთქმას გემთა დაჭერის საზოგადო საკითხის შესახებ. შეერთებულ შტატების მთავრობას არა მარტო რუსეთის მთავრობასთან აქვს მოლაპარაკება, არამედ სურს გამოარკვიოს, რა გზას დაადგებიან სხვა სახელმწიფოები, რომელთა გემებიც ყველაზე უფრო დააზარალეს რუსებმა. სახეში უნდა ვიქონიოთ, რომ ინგლისისა და გერმანიის გემთა პატრონებმა გემები დაჰკარგეს, ამერიკელებმა კი მხოლოდ საქონელი, და ადვილად გავიგებთ, რომ შეერთებულ შტატების მთავრობა აუჩქარებლად მოქმედებს. ეს ასე არ იქნებოდა, საქმე რომ სხვანაირად დატრიალებულიყო. ირწმუნებიან, ამერიკა არასოდეს და არასფერ შემთხვევაში არ უარჰყოფს იმ აზრს, რომ სურსათი, რომელიც მებრძოლ ერის არმიისა და ფლოტის საჭიროებისათვის დანიშნული არაა, სამხედრო კონდრაბანდას არ წარმოადგენს. ჰფიქრობენ, რომ გერმანიაც ამ აზრს ადგია. ინგლისის შესახებ დარწმუნებულნი არიან, რომ იგი გერმანიას ეთანხმება, რადგან ინგლისმა უზღო ამერიკას ზარალი, მისცა იმ საქონლის ფასი, რომელიც სამხრეთ-აფრიკაში ომის დროს ხელთ ჩაიგდო. ჰფიქრობენ, ამერიკას საკმაო დახმარებას გაუწევენ, რათა შეაძლებინონ დაარწმუნოს რუსეთი, რომ აღარ მოიქცეს ისე, როგორც ახლა იქცევა, მოერიდოს ამერიკიდან ჩინეთში გაგზავნილ სურსათის ხელში ჩაგდებას, იმ შემთხვევაშიაც-კი, როცა ეს საქონელი იაპონელთა ტომის კერძო პირთა სახელზე იგზავნება და აღნიშნული არ არის, რომ საქონელი იაპონიის არმიის საჭიროებისათვისაა. არ ეტყობათ, რომ რაიმე სურვილი ჰქონდეთ განიხილონ საკითხი გემ „არდოვას“ დაჭერის შესახებ.

ხარბინი. წირვისა და პარაკლისის შემდეგ დაათვალიერეს ჯარი და მანჯურიის ჯარის მთავარ-სარდალმა მოულოცა მას ხელმწიფე დედოფლის მარიამ თეოდორეს ასულის სახელწოდების დღესასწაული.—აქ აკურთხეს მის უდიდებულესობის ხელმწიფე დედოფლის ხარჯით აშენებული აბანო. აბანო მშვენიერია და ერთ და იმავე დროს 150 ჯარის-კაცსა და 20 აფიცერს იტევს; წყალი მილებით არის გაყვანილი.—საშინელი სიცხეა; წვიმა იშვიათად მოდის.—გენერალი რენენკამფი მალე მორჩება.

ტოკიო. („ვოლფის სააგენტო.“). ოფიციალური ცნობა. გენერალი ოკუ იტყობინება, რომ 20 ივლისიდან რუსები უკან იწევენ, ჩრდილოეთისაკენაო. 21 ივლისს იაპონიის ჯარებმა დაიჭირეს ხაიჩენი და ნიუჩუანი; ეს უკანასკნელი ინკოუს ნავთსადგურიდან 30 მილის სიშორეზეა, ჩრდილოეთით.

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ტან“-ის სამხედრო თანამშრომელი ჰფიქრობს, გენ. კუროპატკინი ლიაოიანთან უსათუოდ შეებრძოლება იაპონელებსაო, ეხლა უკან აღარ დაიხევსო. სხვა გაზეთების სამხედრო თანამშრომლები-კი მომეტებულ ნაწილად იმ აზრს ადგანან, რომ რუსის მთავარ-სარდალი ლიაოიანსაც მიატოვებს და მუკდენისა და ხარბინისაკენ წავაო. („ნ.“).

ტიანძინიდან დეპეშით ატყობინებენ „დეილი ექსპრეს“-ს: გენ. კუროკი და გენ. ნოძუ ცდილობენ, თავიანთი ჯარები შეაერთონ და გენ. კუროპატკინს ლიაოიანსა და მუკდენს შუა გზა მოუჭრანო. („რ. ლ.“).

გერმანელი სამხედრო მიმომხილველები ჰფიქრობენ, გენ. კუროკი თავდაპირველად მუკდენისაკენ გალაშქრებას აპირობდაო; იაპონელ სარდალს ეგონა, ნამესტნიკი ალექსეევი რუსეთიდან მოსულ ჯარს სულ გენ. კუროპატკინს გაუგზავნისო, მაგრამ ნამესტნიკმა მუკდენშიაც ძლიერი რაზმები დასტოვა; გენ. კუროკიმ გაიგო ესა და მუკდენისაკენ გაგზავნილი ჯარი შეაყენა. პირველ არმიის უფროსი ეხლა გენ. ოკუსა და გენ. ნოძუს ელის; როცა მეორე და მესამე არმია ლიაოიანს დაუახლოვდებიან, მაშინ იქნება გენ. კუროკიმ უფრო ძლიერი რაზმები გაგზავნოს მუკდენისაკენ. („რ. ლ.“).

ტოკიოდან ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს: იაპონელებმა ინკოუს ნავთ-სადგურში რუსებისაგან ჩაძირული ნაღმები სულ იპოვნეს და ააფეთქესო. იაპონელები ქალაქის მართვას შეუდგნენ; ქალაქის უფროსად პოლკოვნიკი ვატონადე დანიშნესო.

ლიაოიანიდან დეპეშით ატყობინებენ „ნოვოე ვრემია“-ს: 12 ივლისს რუსებმა ხაიჩენისაკენ დაიხიეს. ხაიჩენში იმდენი ჯარი შეიყარა, რომ აღარც შაქარი იშოვებოდა, არც ყავა, არც ლუდი, ღვინო და სხვა სასმელები და არც სანთელიო.

„ჰავასის სააგენტოს“ კორესპონდენტი იუწყება: რუსეთის მთავრობამ ინგლისის მთავრობის თხოვნით კრეისერებს „სმოლენსკ“-სა და „პეტერბურგ“-ს ბრძანება გაუგზავნა, ლიბავაში დაბრუნდითო. ლიბავიდან კრეისერები ისევ ზღვაში გავლენ, როგორც ნამდვილი სამხედრო გემებიო. („რ. ს.“).

რუსეთის კონსული სუეცში მოწმობას აძლევს გერმანიის გემებს, რომ რუსის კრეისერებმა მეწამულ ზღვაში ხმა არ გასცენ. რუსეთის კონსულს 17 ივლისს ოფიციალურად გამოუცხადებია, ამ ჟამად არ შემიძლიან ინგლისის გემებსაც ასეთივე მოწმობები მივსცე ხოლმეო.

ტოკიოდან დეპეშა მოუვიდათ ინგლისურ გაზეთებს: სავაჭრო გემმა „კორეია“-მ ამერიკიდან დიდძალი საქონელი მოიტანა იაპონიაში. „კორეია“ იაპონიის ახლო ვლადივოსტოკის ესკადრას შეხვედროდა, მაგრამ ჯანყი ყოფილიყო და რუსებს ვერ დაენახათო. („ბ. ვ.“).

ბრძოლა დაშიჩაოსთან 10 და 11 ივლისს. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი ბ-ნი ს. კ. სწერს: დაშიჩაოსთან ბრძოლის დროს გენ. ოკუს 60 ბატალიონი ქვეითა ჯარი, ანუ 60 ათასი კაცი ჰყოლია და 84 ზარბაზანი ჰქონია. რუსებს დაშიჩაოსთან გენ. შტაკელბერგისა და გენ. ზარუბაევის კორპუსები ჰყოლიათ, ესე იგი 56 ბატალიონი ქვეითა ჯარი ჰყოლიათ და 100 ზარბაზანი ჰქონიათ. ამას გარდა რუსებს გენ. სამსონოვისა და მიშჩენკოს ცხენოსანი ბრიგადებიც ახლო ჰყოლიათ. 11 ივლისს, ღამე რუსებმა მაინც უკან დაიხიეს... ალბად, გენ. ოკუს მეტი ზარბაზანი მოუვიდა და რუსის არტილერია ვეღარას გახდებოდა იაპონიის არტილერიასთანაო.

„რუს“-ის კორესპონდენტი იუწყება: დაშიჩაოსთან ბრძოლის დროს რუსებს ორი კორპუსი ჯარი ჰყავდათ. როცა უკან დაიხიეს, რუსებმა დაშიჩაოში ფქვილისა და სხვა პროვიანტის საწყობები დასწვეს. შავი ბოლის სვეტი შორიდანა სჩანდაო.

პორტ-არტური. პორტ-არტურიდან მეტად ცოტა და არეული ცნობა მოდის. დეპეშები მხოლოდ პორტ-არტურიდან გამოქცეულ ჩინელებისა, რუსებისა და უცხოელების ნაამბობს გადმოგვცემენ; ამ ნაამბობიდან ბევრი არა დაიჯერება-რა. ასე რომ ეხლა სწორედ არავინ იცის, რა ხდება პორტ-არტურთან და საქმე როგორ მიდის, ცხადი მხოლოდ ისაა, რომ 13 ივლისს აქეთ პორტ-არტურთან დიდი ბრძოლაა გამართული. ამ ერთის კვირის წინად იაპონიის მთავრობამ ოფიციალურად გამოაცხადა, 13 ივლისიდან 17 ივლისამდე 5 აფიცერი მოგვიკლეს და 41 დაგვიჭრესო. სჩანს, დიდი ბრძოლა ყოფილა, მაგრამ სად იყო ეს ბრძოლა, დეპეშაში ამაზე არა ეწერა-რა. ერთის სიტყვით, ამ ჟამად პორტ-არტურზე სწორედ არა იციან-რა გაზეთებმა; ნამდვილად მხოლოდ ის იციან, რომ პორტ-არტური მეტად ძლიერაა გამაგრებული თანამედროვე სამხედრო ხელოვნებისა და ტეხნიკის თანახმად, მშვენივრადაა შეიარაღებული და მეტად ძნელი ასაღებია. ჯერ ასეთი მაგარი, მიუვალი ციხე არც ერთს ჯარს არ აუღია. („რ. ლ.“).

ბრძოლა მოდულინის უღელტეხილთან, 4 ივლისს. ფრანგულ გაზ. „ტან“-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: ივნისში იაპონელებმა ყველა უღელტეხილი და მთის გასავლები დაიჭირეს სამხრეთ მანჯურიაში და გაამაგრეს, თავიანთი უმთავრესი ჯარი-კი მთებს უკან დააყენეს და საიდუმლოდ, საითაც უჯობდათ, იქითა ჰგზავნიდნენ. გენ. კუროპატკინმა მტრის ჯარის დასაზვერადა და იმის განზრახვის გასაგებად 4 ივლისს გრაფ კელერის რაზმი ლანშანგუანისაკენ გაგზავნა. გრაფ კელერს 22 ბატალიონი ქვეითა ჯარი ჰყავდა და 12 ზარბაზანი ჰქონდა. უმთავრესი რაზმი სიაოკაოლინის უღელტეხილისაკენ გაემართა, უფრო პატარა რაზმები სებელინისა და ლანგოლინის უღელტეხილისაკენ. ამ პატარა რაზმებს უმთავრეს რაზმისათვის დახმარება უნდა გაეწიათ. უმთავრესი რაზმი მალე სიაოკაოლინის უღელტეხილს დაუახლოვდა; იაპონელებმა დიდი წინააღმდეგობა არ გაუწიეს და უკან დაიხიეს. ამ დროს იაპონელებმა უფანგუანისა და ტემპლის უღელტეხილიდან მოუარეს და რუსის მარჯვენა ფრთას დაეცნენ; იაპონელების არტილერიამ ტემპლის სიმაღლეები დაიჭირა და რუსებს ყველა მხარეს ზარბაზანი დაუშინა. მეტად ბევრი სისხლი დაიღვარა ამ ბრძოლის დროს. რუსებმა უკან დაიხიეს. ასე ცუდად ჩაიარა გენ. კელერის ცდამ... ამბობენ, რუსებს ამ ბრძოლის დროს სამთო ზარბაზნები არა ჰქონდათ, ეხლა მალე მიუვათ ეს ზარბაზნები და მაშინ ასეთი მარცხი აღარ მოუვათო. რასაკვირველია, სამთო ზარბაზნებს ადვილად გაიჩენენ, მაგრამ საქმე ისაა, რომ რუსები მთაში ომს შეჩვეულები არ არიან; რუსის აფიცრები და სალდათები მარტო მინდორზე არიან დაჩვეულნი ბრძოლასა და მოქმედებას, მთაში-კი ხამად არიან და ვერც ადვილად შეეჩვევიან მთის უღელტეხილებსა და ხეობებში მოქმედებას... იაპონელები ამ ბრძოლის დროსაც თავიანთ საყვარელ ტაქტიკის თანახმად მოქცეულან: რუსის უმთავრესი რაზმი წინ გაუტყუებიათ და მერე გვერდიდან დასცემიან...

ინგლისური გაზეთები ირწმუნებიან, 4 ივლისს მოდულინთან გრაფ კელერის ორი დივიზია ჯარი ჰყავდა და იაპონელებს მარტო მეორე დივიზია ჰყავდათ გენ. ნისის უფროსობითაო.

4 ივლისის ბრძოლას ერთი ინგლისელი კორესპონდენტიც დასწრებია. ამ კორესპონდენტს უამბნია „ლოკალ-ანცაიგერ“-ის კორესპონდენტისათვის: მოდულინის უღელტეხილთან იაპონელებმა ერთ მაღალ გორაზე დააყენეს თავიანთი ჯარი და არტილერია. რუსები ველზე მოდიოდნენ, იაპონელებმა ზარბაზანი და თოფი დაუშინეს და დიდი ზარალი მისცეს რუსის ჯარსაო. („რ. ლ.“).

რუსეთის მთავარ შტაბმა გამოაცხადა 4, 5 და 6 ივლისს ბრძოლის დროს სიაოკაოლინის უღელტეხილზე მე-9 ციმბირის პოლკს 13 სალდათი მოუკლეს, 3 აფიცერი და 145 სალდათი დაუჭრეს, 4 სალდათი ბრძოლის ველზე დარჩა. მე-10 ციმბირის პოლკს 2 სალდათი მოუკლეს, 32 დაუჭრეს, 2 სალდათი ბრძოლის ველზე დარჩა; მე-11 ციმბირის პოლკს 7 სალდათი დაუჭრეს; მე-12 ციმბირის პოლკს 46 სალდათი მოუკლეს, 1 აფიცერი და 182 სალდათი დაუჭრეს, 6 სალდათი ბრძოლის ველზე დარჩა; მე-22 პოლკს 9 სალდათი მოუკლეს, 47 დაუჭრეს, 2 სალდათი ბრძოლის ველზე დარჩა. მე-24 ციმბირის პოლკს 51 სალდათი მოუკლეს, 243 დაუჭრეს და 22 ბრძოლის ველზე დარჩა. მე-33 ელეცის ქვეითა პოლკს 1 აფიცერი და 5 სალდათი მოუკლეს და 1 აფიცერი და 71 სალდათი დაუჭრეს; მე-34 სევსკის პოლკს 2 აფიცერი და 24 სალდათი მოუკლეს, 1 აფიცერი და 195 სალდათი დაუჭრეს, 1 აფიცერი და 63 სალდათი ბრძოლის ველზე დარჩა. მე-35 ბრიანსკის ქვეითა პოლკს 3 აფიცერი და 37 სალდათი მოუკლეს, 3 აფიცერი და 16 სალდათი დაუჭრეს, 1 აფიცერი და 90 სალდათი ბრძოლის ველზე დარჩა; მე-36 ორიოლის პოლკს 21 სალდათი მოუკლეს, 1 აფიცერი და 65 სალდათი დაუჭრეს, 32 სალდათი ბრძოლის ველზე დარჩა და 2 აფიცერი სუმბუქად დაუჭრეს. პირველ ციმბირის სამთო ბატარეიას 1 სალდადი მოუკლეს, 1 აფიცერი და 3 სალდათი დაუჭრეს; 1 აფიცერი სუმბუქად დაუჭრეს. მე-9 არტილერიის ბრიგადას 6 მოუკლეს, 4 აფიცერი და 54 სალდათი დაუჭრეს და 2 აფიცერი სუმბუქად დაუჭრეს. ცხენოსან სამთო ბატარეას 4 სალდათი დაუჭრეს; 1 არგუნის ყაზახთა პოლკს 4 ყაზახი მოუკლეს. სულ ამ ბრძოლის დროს რუსებს 1600 კაცამდე მოუკლეს და დაუჭრეს. („რ. ი.“).

ტყვე რუსის წერილი. იაპონიაში ტყვედ ნამყოფი რუსი სწერს თავის ნაცნობს: „დაიწყო ომი თუ არა, იაპონელებმა რუსის გემი „ეკატერინოსლავი“ დაიჭირეს, ვინც ზედ ვიყავით, ყველანი დაგვატყვევეს და სასებოში გაგვისტუმრეს... იაპონელები საკვირვლად კარგად გვექცეოდნენ. ყველანი ზრდილობიანადა და თავაზიანად გვეპყრობოდნენ. სანოვაგესა და სურსათს ყოველთვის სუფთად კალათებით გვიგზავნიდნენ. ყოველ კალათაზე ზედ ეწერა, რამდენი პროვიზია ეწყო შიგა. თევზს ყოველთვის მწვანე ფოთლებს შემოუწყობდნენ ხოლმე გარშემო; პროვიზიას ყოველთვის კარგსა და უხვად გვაძლევდნენ. კვირაში ორჯელ უსათუოდ ექიმი გვნახავდა ხოლმე; ექიმის ფელდშერმა რუსული იცოდა. ტანისამოსს მუქთად გვირეცხავდნენ და გვიკერებდნენ. ნაგასაკიდან თამბაქოსა, სათამაშო ქაღალდს, მკერვლებსა და ხარაზებს გვიგზავნიდნენ ხოლმე. სამჯერ პიკნიკი გაგვიმართეს კუნძულებზე. აღდგომის პირველ დღეს მშვენიერი სამხედრო ორკესტრი გამოგვიგზავნეს. ინგლისურ გაზეთებსაც გვიგზავნიდნენ ხოლმე, მაგრამ ამ გაზეთების კითხვა უფრო აგვიშლიდა ხოლმე დარდებს: იქ სულ რუსების დამარცხების ამბები ეწერა... ყოველ შაბათს პარიკ-მახერი მოდიოდა და მუქთად გვიკეთებდა თავებს... ბოლოს გაგვანთავისუფლეს და რუსეთში გამოგვისტუმრეს. იაპონელი ადმირალი მოვიდა და გამოგვიცხადა: „იქმნება გვემდურით, რომ თქვენი გემი დავიჭირეთ, მაგრამ ჩვენ ვიჭერთ მაინც, რუსები-კი პირდაპირ ზღვაში სძირავენო. თქვენ მტრებად არა გთვლით და როგორც ჰედავთ, არც მტრულად გექცეოდით. ეხლა ყველამ ფოტოგრაფიული სურათი უნდა გადაიღოთ და ხელწერილი მოგვცეთ, რომ ეხლანდელ ომში მონაწილეობას არ მიიღებთო. ვისაც-კი საკუთარი ნივთები გაქვთ, შეგიძლიანთ თან წაიღოთო“.—ამის შემდეგ გემში ჩაგვსხეს და ნაგასაკში გაგვისტუმრეს. ნაგასაკში იაპონელები მეტად ზრდილობიანად გვექცეოდნენ და ერთი ურიგო სიტყვა არ უთქვამთ ჩვენთვის“. („ნ. დ.“).

ინგლისის პირველ მინისტრის სიტყვა. როგორც ვიცით, რუსის კრეისერებმა მეწამულ ზღვაში ინგლისის გემი „მალაკკა“ დაიჭირეს და ვლადივოსტოკის ესკადრამ დიდ ოკეანეში იაპონიის ახლო გემი „ნაიტ კომანდერ“-ი ჩასძირეს. ამის თაობაზე ინგლისელი დეპუტატები პალატაში პირველ მინისტრ ბალფურს შეეკითხნენ. ბალფურმა უპასუხათ: „მალაკკა“-ს დაჭერის თაობაზე პროტესტი გამოვუცხადეთ რუსეთის მთავრობას იმ საბუთით, რომ სამხედრო გემებს შავი ზღვიდან გამოსვლის ნება არა აქვთ. ჩვენ გამოვუცხადეთ რუსეთს, რომ იმისმა კრეისერებმა ორნაირად დაარღვიეს საერთაშორისო უფლება: ჯერ ერთი, შავის ზღვიდან გამოსვლის ნება არა ჰქონდათ, მეორე სამხედრო მოქმედების დაწყება ხომ სულ არ შეეძლოთ. იმას ვერ გეტყვით, რომ რუსეთის მთავრობა ყველაფერში დაგვეთანხმებინოს, მაგრამ „მალაკკას“ დაჭერა-კი რუსეთმაც უკანონოდ იცნო. ამის გამო რუსეთმა დაჭერილი გემები „ფორმოზა“ და „არდოვა“ 15 ივლისს გაანთავისუფლა. სამწუხაროდ, უნდა მოგახსენოთ, რომ ეხლა ახალი სადავო საქმე გაგვიჩნდა რუსეთთან. ვლადივასტოკის ესკადრამ ინგლისის სავაჭრო გემი „ნაიტ კომანდერ“-ი ჩასძირა. ჩვენ ვიცით, რომ მეომარ სახელმწიფოს კრეისერს სავაჭრო გემების გაჩხრე-

ფელეტონი

იმერლის წერილები

წერილი მეოთხე

თქვენს მტერსა და ავის მდომს ეღდა სცემია, მე გუშინ-წინ ეღდა მეცა. ვინცხა ოჯახ-კეტიან მეცნიერ კაცს უთქვამსო, მითხრა ერთმა ჩემმა ნაცნობმა:—ამას იქითო ოცდა თორმეტსო, თუ თუთხმეტს წელიწადს, კარგად არ მახსოვს, რამდენი თქვა—სულ ნამიანი წელიწადები წადგებაო. ჩოუცივდა ის ენის კლიტე იმას! მარა, რაღა მეთქმის, რომე ჯერ-ჯერობით, რო გუუშრებ—ნამდვილად მართლდება ეს სიტყვები.

აგერ მოხუცებაში გარ;—თუ დაუჯერებ თავს,—და ამისთანე წაპილწელ წელიწადს არ შევსტრებივარ. მთელმა მაისმა ისე გეიარა, რო ერთი კოინდარში არ წავკოტრიალებულვარ. მაისი მაისს კი არ გავდა—კანკურაზე იანვარი იყო ქვენა-ქარით, სიცივით და სუსხით. სათუსური რო თიბათვის შვას აქით გადმოსულიყოს, ამას ჯერ არ მოვსწრებივარ. დავლაპით კიდმე—შენი მტერი დამპალა.

მაისმა რო ასე გვიდალატა, ჩოხა-დამპალა ივანობისთვე რაღა ხეირს დაგვაყრის-თქვა, ვგნესოდით გუნებაში; მარა, დეილოცა, შვას აქეთ იცვალა თავის ნირი და გამოგვარიანდა პატარათი ამინდი. ბაიასვით გაყვითლებულ ყანებსაც ცოტა ფერი მიეცა და ეგება, ბეჩა, მთლათ წყალ-წადებულები არ დავრჩეთ-თქვა, ახლა ასე ვფიქრობდით; მარა მკათათვემ ერთობ მოგვიჭირა, გამოგვიგვალვა ყანები და თუ არ გვასხურა პატარა, ეირუჯა სიმინდი, შენი მტერი ატრუსულა.

უმოსავლობით ერთობ დაჩაგრული შევიქენით, მოგეხსენებათ და ეს მალაპარაკებს ასე. ჰეჰაო, რა დრო დაგვიდგა! ღვინო, ღვინოს მეგინატრებდი საგარიგ მინდოდა და არ მექნებოდა—ამას წარმეგიდგენდი. მაღარი მინდოდა, ჩქვითი, მელოური, თუ კრახუნა და სულ, სულ იმ წყეულმა ფილოქსერამ ჩააკრახუნა ჩვენი ვენახის ფესოძირები—ჩვენ ბოლოკი!

ჩვენებური კაცი რო ჰწვიოს, გაასისინო ქედამდის ნაირ-ნაირ საჭმელებით, პატივი სცე უზომო, თუ ღვინო არ მიართვი და არ გააპაპინე ფარსაგად, რო გადავა ჭიშკარზე—ამ კაცისას ღვინო დავლიეთ არ იტყვის. „ღვინო დავლიეს“ იმას უძახით ჩვენში, რასაც ქართლ-კახეთში „პური გვჭამეთ“ ეტყვიან; ამ კაცისას „პური მიჭამიაო“—ჩვენ ვიტყვით „ღვინო დამილევიაო“. მარა თუ ხმელი მჭადი მიუტანე, ზედ პრასის ფოთოლი, ამაზედ ზუმპაც დაარტყა ერთი ორი სამი ჭანჭილა, იმეე შენს ქებაში იქნება სულ: ძაან პატივი მცა, გულ-უხვად გამიმასპინძლდაო. და ამისთანა დაფასება მასპინძლობის ამ ბოლოს დროს დაგვეჩემა, ნამეტურ უღვინობამ რო დაგვჩაგრა.

ეჰ, დაჩაგრული ბევრ გზით შევიქენით, მარა არაფელია მისი.

ჩემს მახსოვრობაში რატო ათი არ გამეცვალა უეზდის ნაჩალიკი, მარა ჩვენს გზებს მაინც არაფელი ეშველა. ვინც ახალი გაგვიწესეს და მოუხდა ჩვენს გზების გარება—უჰ! —დეიძახა, რო ნახა ჩვენი ოდრო-ჩოდრო, კინჩხის-სატეხი გზები. დაძველდა, კიდო უჰ-ს იძახის; გადეიყვანეს, მევიდა ახალი, ესეც უჰ-ს იძახის, წავაგს, მოვა სხვა და ჩვენ სულ გაი-გაი უნდა ვიძახოთ. შეპირებით, იცოცხლე, ყველა ძაან გვპირდებოდა და გვპირდებიან, მარა ჩვენ აგერ ორმოცდაათი წელიწადია კისერს ვიტეხთ. მერე შორს მაინც ვიყოთ ქუთეისიდან და ძნელი გასაკეთებელი მაინც იყოს ჩვენი გზები. სულ რიონის პირად მიუობა, იქვე ხრეში, სილა და ლოდი. იყო დრო, ქუთეისიდან შვიდ ვერსზე ვიყავით,—ახლა ცხრასაც აჯობოს, კონია. რო აღარ დეგვეძიეთ, მოუსვა რიონმა, როცა ადიდდა, და ეს ჩვენი ნაიდლიბანცურები გზები ორპირის ჭალებს მისილა და შავ ზღვაშიც ჩეიტანა. მივუხვ-მოუხვიეთ, ევიწ-დევიწიეთ და ამის გამო დავშორდით ქუთეისს... ასე უნდა, აპა! ქალაქს, განათლებულ ადგილს თან-და-თან უნდა დავშორდეთ, დაახლოვების მაგიერად. ვაი, ჩვენს პატრონს!

ერთობ თავ-მიცემული ხალხი ვართ. ჩვენ-დათავად არაფრის გაკეთების შნო არა გვაქ, სულ ჩამჩიჩინებელი გვინდა. უნდა მიგვადგენოს კაცმა ჩვენთვე სვე საკეთილო საქმეზე, თვარა ჩვენით ვერ მივხვდებით... არა, მიხვდერით ქე მიხვდეთ ეგება, მარა არ დავეძებთ, როდი ვჩივით...

ხან-და ხან კანტი-კუნტად გამოაწოვენ სოფელს გზების საკეთებლად. დილიანათ წავა გასაწოვში თუ, აჰა! აგერ, ნაშვადღევს გეიხედავ, თითო ციდა ბახახლები სათამაშო თოხებით მიიბაწრებიან. მივლიან ელაგოთ, მოჩხრიკნიან რაცხა ერთ გვალს და სამხრობისას ისთევეს შინისაკენ მოფრინავენ. ჰო და ამისთანა სიბეჯითით გაპლანული შროშის გზატკეცილი რა მალე იქნება გატკლეცილი, ჩამეჭყრებული, ადვილი საანგარიშოა. გასაწოვში, საერთო სოფლის საქმეში მესამედიც არ გადის, ზოგი მამასახლისს მოალბობს, ზოგი იმის სეკლეტარს, ერთი პოპოშნიკს, მეორე თავმდგმურს და გზების საქმე გამუდრეგებულია. მართალია—აშ უგზოობის გამო ქალაქ ადგილს ვშორდებით. მარა გაუნათლებლობას ნუ წამოგვაკრავთ. კვირე უქმე დღეს რო გამობრძანდეთ ჩვენს ეკლესიაზე, იმდენ შლიაპვოსან ბარიშნა-გოგოებს იხილავთ თქვენი შვენიერი თვალებით, რომე გული გაგინათლდებათ: ეს დუნიაა, ის ოლინკია, ერთი ვიროჩკა, კატია, ნასტია და მისთანები; ვაჟებსაც განათლებული სახელები ქვიათ: ვანიჩკა, კოლაია, კოსტია, სერიოჟა... გოგოებს, როგორც მოგახსენეთ, სამუდრების მაგვარი შლაპები წამოუკოსებიათ და ბიჭებს კიდო კალოშები და დლიაში ზონტიკები. არა, კაი მოწყობილი-კაა ბეჭზე ხვარჯაინი, ან ორფხარით ზურგზე მოდებული გოდორი და ზედ ზონტიკი...

კისა და დაჭერის უფლება აქვს; მაგრამ დაჭერილი გემი უსათუოდ სადმე პორტში უნდა წაიყვანოს და სასამართლოს გადასცეს; თვითონ კრეისერის უფროსს-კი არავითარი უფლება არა აქვს, თავის ნებით გემზე დადებული საქონელი სამხედრო კონტრაბანდად იცნოს და გემი ჩაძიროს. ჩემის აზრით, რუსის ესკადრამ აშკარად დაარღვია საერთაშორისო კანონები: ამის თაობაზეც პროტესტი გამოვუცხადეთ რუსეთის მთავრობას და იმედი გვაქვს, რომ რუსეთის მთავრობა ამ საქმეშიაც დაეთანხმება ჩვენს აზრს.“ („რ. ს.“).

გემი „მალაკკა“, როგორც ვიცით, კიდეგაც გაანთავისუფლა რუსეთმა, „ნაიტ-კომანდერ“-ის თაობაზე-კი ჯერ მოლაპარაკებაა გამართული. ამბობენ, რუსეთმა იქნება ეს გემი უზღას ინგლისსაო.

ახალი ამბავი

✦ **გელათი.** დეპეშებიდან უკვე იციან მკითხველებმა, რომ გელათის მონასტერი გაქურდეს 19 ივლისს, ნაშუადღევის 6 საათზე. შეიარაღებული ქურდები, რიცხვით რვა კაცამდე, შევარდნენ მონასტერში იმ დროს, როდესაც ბერები სალამოს ლოცვაზე იდგნენ. ოთხი ეზოში დარჩა, ოთხი ეკკლესიაში შევიდა. უბრძანეს რა ბერებს გაჩუმებულიყვნენ, ყაჩაღები შეუდგნენ ჩხრეკას. წაიღეს იმერეთის მეფეთა და მიტროპოლიტთა გვირგვინები, ბეჭედი მეფე დავით აღმაშენებლისა, ძვირფას თვლებით შემკული ქოში თამარ მეფისა და სხვა ნივთები. ფულად წაიღეს ოცდა ათ თუმნამდე. ეს ამბავი მაშინვე აცნობეს ქუთაისის მაზრის უფროსს და ადგილობრივ ბოქაულს, მაგრამ ქურდების კვალისთვის ჯერ ვერ მიუგნიათ.

✦ **გზათა სამინისტროში** არსდება განსაკუთრებული კომისია, რომელმაც უნდა დაათვალიეროს **ამიერ-კავკასიისა** და **კავკავის** რკინის გზები, გაიგოს ამ გზების ნაკლულევანებანი და საჭირო ზომები მიიღოს მიმოსვლის დასაჩქარებლად.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა შუამდგომლობა აღძრა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსის წინაშე **ბაკურიანის სადგურზე** საფოსტო განყოფილების დაარსების შესახებ.

✦ ერთ მდიდარ ლოძელ ფირმას საბოლოოდ გადაუწყვეტია, **მულანის ველში** შეუდგეს მებამბეობას. ფირმას აზრადა აქვს წყალი გაიყვანოს ხსენებულ ველის სარწყავად.

✦ ამ რამდენისამე ხნის წინად ტფილისის ქალაქის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ნება მისცეს **განსაკუთრებული გადასახადი** გააწეროს სახლის პატრონთ ქალაქიდან ნაგვისა და სხვა უსუფთაობის გასატანად. შინაგან საქმეთა სამინისტროს განუხილავს ეს შუამდგომლობა, მაგრამ არ შეუწყნარებია. საქალაქო დებულების ძალით, ქალაქის თვითმმართველობა ამ გვარ საქმეებისთვის ახალ გადასახადების გასაწერად უსათუოდ სახლის პატრონებს უნდა მოელაპარაკოს და მოურიგდეს. სახლის პატრონების დაუთანხმებლად საბჭოს არ შეუძლიან ახალ გადასახადის გაწერა.

✦ ჰფიქრობენ, ტფილისის **სასულიერო სემინარიის ახალი შენობა** 1905 წლის პირველ იანვრისთვის დაამთავრონ.

✦ **ბაკურიანში** ამ თვის პირველ რიცხვებიდან გახსნეს აფთიაქი ეს დიდი შეღავათია ბაკურიანისათვის, რადგან ამ ბოლოს დროს ყოველ წლობით მატულობს იქ მიმსვლელ მოაგარაკეთა რიცხვი.

✦ 21 ივლისს, გორში, ტფ. საოლქო სასამართლომ გაარჩია საქმე სოფ. ხვედურეთის მცხოვრების თედო ქუთათელისა, რომელსაც დაბრალდა თავისის ცოლის, ნინოს, მოკვლა. თედო ქუთათელი სამოცი წლის მოხუცი ყოფილა და მზარეულად მდგარა თავ. დავით ციციშვილისას სოფელ ხვედურეთში. ნინო 28 წლის ახალგაზრდა ქალი ყოფილა. ბოლო წლებში ქმარს ეჭვი აუღია ცოლზე, მღალატობსო და გადაუწყვეტია ადგილის დატოვება და თავის სოფელში დაბრუნება; მაგრამ ცოლი არ დასთანხმებია. წელს, 27 თებერვალს, თ. ქუთათელს კვლავ უცდია ცოლის დათანხმება, მაგრამ ამაოდ. იმავე ღამეს ხანჯლით მოუკლავს ახალგაზრდა ნინო. სასამართლომ დამნაშავედ იცნო თედო და მიუსაჯა მას ყველა განსაკუთრებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ განყოფილებაში 5 წლით დამწყვდევა.

✦ სოფ. ჭალადიდი (სამეგრელო). ჩვენს მხარეს წელს ჩინებული პირი უჩანს სიმინდის ყანებს. შარშან ამ დროს სულ ერთიანად ახრუკული იყო სიმინდი, წელს-კი სწორედ ღვთის თვალი ტრიალებს აქეთ და იმედი გვაქვს, შარშანდელი ვალი წლევანდელის მოსავლით გავისტუმროთ. საზოგადოდ, კაცთა შორისაც მშვიდობაა.

✦ სოფ. დიდომიდან გვატყობინებენ, რომ სასანიტარო რაზმის მოლოდინში იქ უკვე შესდგომიან კარ-მიდამოსა და ეზოების დაწმენდას. ყველა სწმენდს და ასუფთავებს თავის ეზო-გარემოს, მაგრამ სავალალო ის არის, რომ ეს ნაგავ-ნახვეტი ქუჩაში თურმე გამოაქვთ და იქა ჰყრიან,—წვიმა მოვა და ნიაღვარი წალეკავსო. კარგი იქნება სოფელი პირს შეკრავდეს, სოფლის გარედ ერთს ადგილს სადმე აირჩენდეს, სასოფლო ურემს ჩამოატარებდეს და კვირაში ორჯერ გაზიდავდეს ამ ნაგავს, თორემ თუ ქუჩაზე დაჰყარეს და ქათმების საქექად მიატოვეს, არ ივარგებს.

რუსეთის ქრონიკა

✦ „ნოვ. ვრ.“-ს სიტყვით, ვოლინის ეპისკოპოსს მიუმართავს თავის ეპარქიის სამღვდელოებისათვის მოწოდებით, რომელშიაც სთხოვს მღვდლებს დაეთხოვონ მათგან შემოღებულ წესს, გლეხთა ბავშვების მონათვლის დროს. მღვდლები ემბაზს არა ხმარობენ თურმე გლეხთა ბავშვების მოსანათლავად, არამედ პირდაპირ თავზე ასხამენ წყალს, რათა მალე მორჩნენ საქმეს. ეპისკოპოსი ურჩევს მღვდლებს, პატივისცემით მოეკიდეთ ხალხს და იმას ნუ უყურებთ, რომ სიღარიბის გამო მცირე ფასს გაძლევენო.

✦ პირუტყვთა მფარველმა მთავარ-გამგეობამ მიმართა თხოვნით კამენეც-პოდოლსკის განყოფილებას, განიხილოს საზოგადოების არსებული წესდება და თავისი აზრი გაუზიაროს. საზოგადოების ერთმა წევრმა მოხსენება წარუდგინა გამგეობას იმის შესახებ, რომ მეცნიერულად იქნას გამორკვეული საკითხი ვეგეტარიანობის შესახებ (ხორცის ჭამის უარყოფა) და თუ ეს მოძღვრება მეცნიერთა მიერ სასარგებლოდ იქნა ცნობილი, შეტანილ იქნას წესდებაში მუხლი იმის შესახებ, რომ პირუტყვთა ნამდვილ მფარველის ზნეობრივი მოვალეობაა, ხორცის ჭამას თავი დაანებოს, „რადგან პირუტყვთა მფარველობა და მფარველის სტომაქას პირუტყვთა ლეშების სასაფლაოდ გადაქცევა“ ერთმანეთს ეწინააღმდეგებაო.

✦ გამოცხადებულია განკარგულება იმის შესახებ, რომ მსურველთ შეუძლიათ უფასოთ უგზავნონ რუსეთის რკინის გზებით ნივთები და შემოწირულებანი დატყვევებულ იაპონელებს.

✦ ხარბინში გადაიცვალა პეტერბურგის გაზეთების თანამშრომელი ქალი პრეჟეცკაია, რომელიც თავის ქმარს, აფიცერს, გაჰყვა ბრძოლის ასპარეზზე, ხოლო გზაში ავად გახდა და ხარბინში უნდა დარჩენილიყო.

✦ კიევის გუბერნიაში გაუმართავთ ხალხისთვის მოძრავი სურათების გამოფენა, რომელიც სოფელ-სოფელ დააქვთ. მრავალი გლეხი იყრის თურმე თავს სურათების სანახავად.

✦ პეტერბურგში სახლების ამშენებელ საზოგადოებათ იწვევენ პირველ საერთაშორისო კრებაზე, რომელიც წელს შემოდგომაზე პარიზში გაიმართება და განიხილავს საკითხს კარგ, ჰიგიენურ სადგომების აშენების შესახებ.

პრესსა

გუშინ ჩვენ მოვიყვანეთ სუვორინის აზრი, რომ მინისტრთა მოღვაწეობის გასაადვილებლად და მუშაობის გასაუმჯობესებლად საჭიროა დასავლეთ ევროპის წეს-რიგზე მინისტრთა კაბინეტის მოწყობაო; მაშინ მინისტერებს შორის კინკლაობა აღარ იქნება და, სამაგიეროდ, ერთსულოვნება და სრული სოლიდარობა დამყარდებაო. დღეს სუვორინის ამ აზრს არჩევს „გრაჟდანინ“-ის რედაქტორი თავ. მეშჩერსკი და სამართლიანად შენიშნავს, რომ სუვორინის რეცეპტი გამოუსადეგარი არისო.

> ფრიად სასურველია, მინისტრები თანხმობით მოქმედებდნენ. მაგრამ ძალიან საეჭვოა, რომ მინისტრთა კაბინეტის დაარსებამ უშველოს ამ საქმეს. მარტო კაბინეტის დარსება ვერ შესცვლის ჩვენის სახელმწიფო მოღვაწეების ხასიათსა და მიმართულებას.

როგორც ხედავთ, თავ. მეშჩერსკის კარგად ესმის, რომ სამინისტროს ასე თუ ისე მოწყობა ვერ შესცვლის საქმეთა მდგომარეობას. სუვორინიაო,— დასძენს „გრაჟდანინ“-ის რედაქტორი.—სრულს ჩვენს წეს-რიგს იწუნებს, როცა ამბობს, იგი უძველეს დროის ნაშთიაო; გასაუმჯობესებლად-კი საკმარისად მიაჩნია „კაბინეტის“ დაარსებაო. მაგრამ, ამ შემთხვევაში მართალს კრიტიკოსს—თავ. მეშჩერსკის—თვითონაც ვერაფერი მოუგონია ხსენებულ სენის განსაკურნებლად. იგი ამბობს მხოლოდ, რომ

> თავი და თავი საქმე ჩვენი ზნე-ხასიათია და ჩვენის სახელმწიფო მოღვაწეების განათლების ხარისხი. ეს ჩვენი ზნე-ხასიათია იმის მიზეზი, რომ მინისტრებს აკლიათ პატრიოტულ თვითცნობიერებისა და ხოლიდარულ მოვალეობის შეგნება. სანამ ეს არ იქნება, სამინისტროს რეორგანიზაცია საქმეს ვერ უშველის.

ამრიგად, თავ. მეშჩერსკი გამოურკვეველ მდგომარეობაშია: ზნე-ხასიათი უნდა გამოვიცვალოთო. საკითხიც ის არის, რა გამოცვლის ამ ზნე-ხასიათს?..

⁂

ვ. კ. პლევეს მოკვლის გამო „მოსკოვ. ვედომ.“ სწერს:

> იქნება ჩვენის კანონების სისუსტეა იმის მიზეზი, რომ ჩვენში ასე ადვილად ებადებათ ფანატიკოსებს მინისტრების მოკვლის განზრახვა? საზღვარ-გარედ, იმ კულტურულ ქვეყნებში, რომლებზედაც ასე ხშირად გვითითებენ, როგორც მისაბაძ მაგალითებზე, უბრალო ადამიანის სიცოცხლე უფრო უზრუნველყოფილი და დაცულია კანონებით, ვიდრე ჩვენში მინისტრებისა და სხვა წარჩინებულების სიცოცხლე. ამიტომ ნუ-თუ დრო არ არის, გადასინჯულ იქმნან კანონები, რომლებით ვასამართლებთ და ვსჯით ასეთ ბოროტ-მომქმედთ?

გაზეთ „ნოვოსტი“-ს მოჰყავს ეს უცნაური შენიშვნა „მოსკოვ. ვედომ.“-სა და ამბობს:

> როგორც ვიცით, ხსენებულ ბოროტ-მოქმედებისათვის ჩვენს კანონებში სიკვდილით დასჯა არის დანიშნული. მაშ, რაღა უნდა მოსკოვის გაზეთს? რისთვის თხოულობს კანონების გადასინჯვას და როგორღა უნდა გაძლიერდეს სიკვდილით დასჯა?!.

წერილები

ხევი (საქართველოს სამხედრო გზა). 15 ივლისს სოფელ უხათის (ოსები სცხოვრობენ) მცხოვრებთ ბიჭილა ურთაევს, ოსიფა და ძაკო თავაებს ცხვარი შეურეკნიათ გლახა წამალაიძის მიერ ნაქირავებს საძოვარს მთაში. როდესაც წამალაიძეს ამ ზემოხსენებულის ოსებისთვის უთქვამს, ალაგი ჩემ მიერ არის ნაქირავები და აქ ნუ აძოვებთო, ამ ოსებს ჯოხებით ცემა დაუწყიათ. წამალაიძე მძიმედ ნაცემი ძლივს ჩასულა სოფელ უხათში და იმავე ღამეს გადაცვლილა. ეს სამი დღეა გამოძიებას ელიან და ნათესავები თავგამოდებით ეხვეწებიან, მიცვალებულის გვამი შინ წავგვაღებინეთო. ბოქაულმა ფასანაურიდან შეუთვალა, სანამ დუშეთიდან მაზრის ექიმი და გამომძიებელი არ მოვლენ, ცხედარის ადგილიდან წაღება არ შეიძლებაო.

კალმის წვერა.

ს. ბუგეული (რაჭა). 11 ივლისს ბუგეულის ღვთის-მშობლის ეკკლესიაში მამა სიმონ ჭელიძემ გადაიხადა პანაშვიდი ახლად გარდაცვალებულ სამსონ თოფურიას სულის მოსახსენებლად. ხალხი ბლომად დაესწრო. მღვდელმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა და გარკვევით განუმარტა ხალხს სამსონის მოღვაწეობა და მისი მნიშვნელობა. წირვის შემდეგ წაუკითხა „ცნობის ფურცელში“ დაბეჭდილი წესრიგი განსვენებისა და სიტყვა, იქ დაბეჭდილი.

აქაურს გლეხის სიხარულს საზღვარი არა აქვს, ხეირიან ვენახებს რომ ჰხედავს. პურიც კარგად მოუ-

---

ახლა ვითამ სულელი და ლენჩი ყოფილა მამა ჩემი, მამიჩემისთვის რო გასტანგი დოუთქმევია, მამაჩემიც—მე რო ჯიბრაელი დამათქვა და ჩემს დებს ერთს მზეხათუნ, მეორეს მარიამ, კიდო თამარი? ბიჭო, სა წევიდა ეს ძველი კაი სახელები, ში შუა კაკალ სადვთო წერილში რო ჩაბეჭდილი და მისტამბული? ირაკლი, თეიმურაზ, გიორგი, ოქროპირ, გულქან, მარიამ, ქეთევან და სხვ. ერთი ჩემი სახლი კაცი მომაგონდა. ჰკითხეს თურმე ერთხელ, სადღაა ის კაი ცხენები, კაი ჯორები რო იყო, რაშების მსგავსიო!—იმგენზე შეჯდნენ ჩვენი ძველები და გოუდგნენ გზასო... კო, მარა სახელები? სახელს ვერ წეიღებს კაცი, სახელი, უმაწვილო, აქ რჩება და ვერც ვერავინ დამატანს ძალას ჩემს ბალანს ლუბაია და ან სერიოჟა დოუძახო არჩილისა და ქეთოს მაგიორათ. ნუუურ, ეგებ ესეც განათლებაა? კაი, თუ მაიმუნობაა. მარა მაიმუნიცო, გამიგონია, როცა უცხო რამეს, კაის დეინახავს, იმას მიითვისებსო და ჩვენ... ეჰ, კაია მამა თქვენი ნუ წაგიწყდებათ—გაუსივდი გულზე...

რამდენი გულზე გასასივებელი ჩვენ რამე გვჭირს და დაგვჩემებია, ყველას რო გავუყვე—გავსკდები ზე. და რატო ვსკდებით—ვახარებთ მტერს—არ გიცოდე შო.

გუშინწინ ქუთაისში ერთი კაი კაცი დამარხეს. დამარხეს ისე, რავარც ეკადრებოდა და დიდმა საზოგადოებამ სცა პატივი. და მით უფრო გამიკვირდა, რომ სადამოსვე რო გევიხედე ერთი ურა-კაპანია ჭქონდათ გამართული ჩვენებურ უმაწვილებს, ძმა-ბიჭებს... იმან უფრო დამწყვიტა გული, რომე ლურჯ შლაპკიანებიც ერიენ ამ მოქეიფეებში... თრესტიც ქე ეყოფოდათ—მათხრეს... რაცხა არ მომეწონა ეს ისე, რო ჭკითხო, ყველა ქვეყნისთვის ზრუნავს, საზოგადოებისთვის, ჭირისუფლობას გვპირდებიან და, ვაყო, ჯერ საქმით არაფელი გვინახავს მათი, და ვინც რამე გააკეთა და კიდომაც გვიჭირისუფლა, იმას რო პატივი ვცეთ, როცა უდროოთ დავკარგეთ, ეს, მე რო ვფიქრობ, თვით ჩვენი თავის დაფასება გამოვა და კაი საქმის შეგნებულობა...

მე რო ვუყურებ—ყველაფერს სხვა ფერი ჩედვა: აღარც ტირილი გავს ტირილს და ლხინი და სიცილიც გადასხვაფერდა.

გულზე გასასივებელია რავა არაა ჩვენებური ტირილი. რო შეიქმნება იახშიოლ-აღავერდობა, მისთანათ გამეიბრუშებიან, რო კვდარი კი არა, ცოცხალი ვიდას ახსოვს. მოვა, მეიტანს იშვიათად ერთ მანათს, და უფრო ხშირად კი ორ აბაზს, ათ-შაურს და უკან შვიდი-რვა მოუთბა ჯადაბი. ყველა უნდა გამოსისინდეს რჯულზე. სუფრას ორჯერ-სამჯერ ჩოუბრუნდებიან. ადგება, გეიარს, გამეიარს, ჩარეკავს საჭმელს და კიდო ჩოუჯდება. არის ერთი ყვირილი: აპა, ჭე, რომელი ხარ ღვინის კაცი! თებზის კაცი, ბრინჯის, ღომის კაცი, ღომის, პურის კაცი, ე ბიჭო, გოდრით მეიტანე პური, დაჭერით, დაყარეთ ოხრად, გელაპარაკები მეიტანე მალე-თქვა, სადაა აქანეის მერიქიფე, ამ სუფრის მერიქიფე უ-უ-უ! აპა, თუ გეურება დღეს! რაა ბიჭო ე ცარიელი ჭიქები! არ დევინახო ცარიელი-თქვა, არ გითხარი მე შენ... დაასხი... ჩააყოლე!.. ამისთანა ყაყანი, ქაქანი და შეთქლეშაა დარიჯებამდის. მაშინ დედაკაცები და მათი ბახარხლები მოუსობენ ხელს და ადრევე ნაგულავებ ბაღდათებში უკრავენ თავს პურებს, თებზის ნაჭრებს და სხვ, რასაც-კი წოუწვდენ ხელს. მამაკაცებს ამისათვის გნაცი აღარ აქვს არც ერთს. გაბრანცულია ყველა და თავს რო იზამენ შინისკენ, პატარა დიდინით სიმღერებსაც ქე ჩოუკაკინებენ.... ჭო და იანგარიშეთ ახლა, რავარ მალამოთ მოხვდება ეს ჭირისუფალს გულზე.

ახლა ლხინი ბძანეთ. დღეობები იციან ჩვენში. ზოგიერთი მისთანა ახირებული დღეობათემოაა, რომ არსად არც რჯულის კანონშია მოხსენებული და არც სხვა ისტორიაში: ეს ტეხისობაა, კოხინჯრობაა, უკანეთობა, ვედობა, ეკენობა და ამისთანები... ამნაირ დღეობებისათვის მისთანა სასოებით, გულბეჯათად ემზადება დიდი, პატარა, მდიდარი და ღარიბი, რომე აღდგომა, ამაღლება და შობა ქვით! ემზადება თელი ერთი წლით, თითო ორ ოლა გროშს ერთმანეთზე აკოწიწებს თვით უღარიბესიც. თუ მარხვა შეხვდა, უხვად თევზეულობა უნდა ჰქონდეს, თუ ხსნილი, და—ოხრად სახსნილო, ნაირ-ნაირი, და ღვინო ხომ შიოს მარნიდან უნდა მოდიოდეს. რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი და ჩიჩინი, უნდა მეიქაჩალის თავი... მეორე, მესამე დღეს კირკაყიდობიოც საძებარი გოუხდება და ღვინოს, საზედაშეთ რო დაჭირდეს—სა იშოვნის. მოუვარეწვეულები ისე ეკიდებიან სოფელს, როგორც ლეკი და თათარი.

ჭო და იანგარიშეთ ახლა, თქვენი ჭირის სანაცვლოთ წევიდე, ვინ ატანსყე ძალას, რომ ორ დღეს შესვან და შესჭამონ ოჯახის დოვლათი, იძახონ ბრალჯამიერე, და როცა უფრო მოუხდება ეს კაი საჭმელ-სასმელი—კვირკობ-მარიობისთვეში რო თოხს უბაყუნებენ—მაშინ გასაკნასავი არაფერი ჰქონდეს. ა, ჭკუაა ეს?

ამისთანა ჭკუაზე დაამყარა უფალმა იოსე ქრისტემ ის, ვისაც ჩვენთვის გლახა უნდოდეს, ასე მითქვამს ეს....

საწყალი გიგია არ მომკვდარა. გიგიას რო არ იცნობდა—იმისთანა კაცს ძვირად შეხვდებით ქუთეისში და ნამეტურ მიკიტნები. ერთ დროს ქუთეისში, სხვა თუ იყო, გიგიას მამის ოჯახიც იყო. პატარათი გიგია ჯამევიდა გვარში დალბათი და იმდონი უძახეს: შენზე დადგა შენი გვარიო! რომე მართლაც შამეეცალა მამა, ძმებიც და დარჩა მარტვა გიგია. ვერაფელი ახოვანი შესახედავი იყო ისედაც და იმ წყეულმა აჩიჩინმა მაინც გატეხილ ხმელ ჩხირს დაამგვანა.

გიგია რაზე მომაგონდა, იცით? კაი ძალი გვყავს მისთანა გიგიები. რო გაწყრეს ღმერთი და ვინმემ დაგვიწყევლოს ყველა: თქვენზე დადგა თქვენი გვარიო!.. ერთობ ცუდად იქმნება ჩვენი პარასკევი!..

ჯიბილა.

ვიდათ. მხოლოდ სიცხეების გამო სიმინდია შეწუხებული. ბუგეულში რიონის ხიდი ძრიელ დაზიანდა და ადგილობრივ ბოქაულმა ცხენოსანსა და მეურმეს აუკრძალა იმაზე გავლა, რის მიზეზითაც ძრიელ შეწუხებულნი არიან მცხოვრებნი. რა თქმა უნდა, კარგი იქნება ეს ხიდი დროით შეკეთდეს. დიდი მადლობის ღირსია „კოლხიდის“ ამხანაგობა, რომელმაც რამდენიმე კოლოფი აბრეშუმის თესლი უსასყიდლოდ დაარიგა ჩვენს საზოგაოებაში გასავრცელებლად. აქ, როგორც მოგეხსენებათ, „ხატის“ შიშით მეაბრეშუმეობას არ მისდევენ, „შეწირული გვაქვსო და კოხი მოვაო“. მიუხედავად ამისა, ვინც კი დაიწყო წრეულს, ძრიელ კარგი აბრეშუმი მოუვიდა. არც კოხი მოსულა და მოვლითაც კარგად მოუარეს. მხოლოდ უბაზრობის გამო, რადგან ვაჭარი ვერ იშოვეს, ისევ ძაფად ამოიყვანეს სახლში სახმარებლად. იმედია, „კოლხიდის“ ამხანგობა კვლავაც ასე მოიქცევა და მყიდველსაც გაჰგზავნის. ჩვენდა სამწუხაროდ, აქაც გაჩნდნენ ავაზაკები. ამ დღეებში სოფელს ბაჯს თავს დაესხენ აზნაურს ვარდენ გოცირიძეს, დასჭრეს და ექვსასი მანეთი წაიღეს. ადგილობრივმა ბოქაულმა კვიტაშვილმა ავაზაკები დააპატიმრა.

ბუგეულელი.

—

ქიზიყი. ხოლერის მოახლოვების ხმა გავარდა. გაზეთებმა გვაცნობეს, რომ ტფილისში უკვე დაუარსებიათ სასანიტარო რაზმები. ამას გარდა განუზრახავთ წიგნაკების გამოცემა ქალაქში მცხოვრებთათვის დასარიგებლად და კითხვებსა მართავენ. სოფლებში მცირე მიზეზია საკმაო, რომ სენი მსწრაფლ მოედვას და მუსრი გაავლოს ხალხს, როგორც ეს მოხდა 1892 წელს ქიზიყში. პირველად ხოლერა შირაქის მხარიდან შემოიტანეს თათრებმა ზემო მაჩხაანურს კალოებზე, იქიდან მოედო ქიზიყს და მუსრიც გაავლო ხალხს. რადგან ქალაქებში კარანტინები იყო დაწესებული, ყველა გაექცა ქალაქს და ქიზიყს მოედო ყოველგვარ საჭიროებისათვის. ეხლაც ამ გვარად ეშინიან ქიზიყის ხალხს, რომ თათრებმა კიდევ არ გვასტუმრონ ეს საშინელი ჭირი. საჭიროა მიაქციონ აქეთაც ყურადღება, რადგან საფიქრებელია და საშიშოც, რომ აქედან უფრო ადვილად შემოვა ჭირი. თათრებსა და ქიზიყელთ ხშირი მისვლა-მოსვლა აქვთ. აქეთ საშინელი გვალვა დაიჭირა. ივლისის პირველს შემდეგ წვიმა არ მოსულა; დედამიწა საშინლად დასქდა, გახმა, მრავალი ჯერეთ ნაწილ დაუმთავრებელი ჭირნახული გაახმო. ვენახები მეტად გამოფიტდა, ამიტომ ისედაც დაზარალებულმა ყურძენმა ძალიან იკლო. 15 ივლისს კოკის პირული წვიმა დაუშვა და ამით დედამიწას ცოტათი სიცოცხლე დაეტყო. დღისით, ზოგჯერ ღამ-ღამობითაც, წვიმის მაგვარი ცვარები მოდის, რაიცა ნაცრად ედება ყურძენს, თუმცა ბეჯითად სწამლობენ. მიუხედავად ნაკლებ მოსავლისა, მუშა დღეში 1 მ. 60 კ. ფასობს.

დროებით ქიზიყელი

—

ხევი. სნოში სოფელმა თავისის ხარჯით დაიწყო სკოლისთვის ორ-სართულიან შენობის აგება და კიდეც ააგო და დახურა კრამიტით. შენობა სამას თუმნამდე დაჯდა. სოფელი სიხარულით მოელოდა შენობის სრულიად დამთავრებას, მაგრამ, სამწუხაროდ, სკოლის ამშენებელი ოსტატები ვერ გამოდგნენ დახელოვნებული ოსტატები; შენობა უხეიროდ აეშენებინათ, ისე რომ აღმოსავლეთის მხარეს კედელიც-კი გაირღვა, რაიცა ხელმეორედ თავში საცემი გაუხდა სოფელს. ნათქვამია, „მეპურეს პური დააკვრევინე და ერთი პური მეტი მიეციო“. სნოელებიც ასე უნდ მოქცეულიყვნენ. სკოლის აგებას სხვა კარგად მცოდნე ოსტატი იღებდა იჯარით, მაგრამ სოფელი სულ ათ-თხუთმეტ თუმანს დაეხარბა და ამნაირად მოტყუვდა. სოფ. სტეფანწმიდის ჯოგიდან ქისტებმა ოთხი ცხენი მოიპარეს. პატრონებმა, მეტი გზა რომ არა ჰქონდათ, ფულით შეისყიდეს მოპარული ცხენები. ხევში წელს, როგორც ეტყობა, ჭინახულის და თივის მოსავალი საშუალო იქნება, თუ ციდან არა დაუშავდათრა. ივლისიდან დაწყებული საქართველოს სამხედრო გზაზედ ეტლებით მგზავრების მიმოსვლამ ერთი-ორად იმატა. ამბობენ, ხოლერის შიშით, ბაქოსაკენ რკინის გზით წასვლას ბევრი ერიდება და აქეთ იმიტომ იმატა მგზავრების რიცხვმაო. მეტის მეტად ბევრი ხალხი მოდის, ქალი თუ კაცი. დევდორაკის მყინვარეზედ მედიდურის მყინვარის სანახავად.

სნოელი.

—

კავკავი. ივლისი ვერაფრით კეთილ მოსაგონარი იყო აქეთ. გაქურდეს ჯერ მოზდოკის ეკკლესია, საიდანაც გაიტანეს მრავალი ძვირფასი ნივთები. გაქურდეს გროზნის ეკკლესია, აქედანაც გაიტანეს მრავალი ძვირფასი ნივთები. აქ ქურდები წვიმის სადენ მილზედ ასულიყვნენ, გუმბათის ფანჯარა გამოეღოთ, ფანჯარის რკინაზედ თოკი მოებათ, ჩაშვებულიყვნენ, ნივთები არხეინად მოეგროვებინათ, მერე გამოეღოთ ტრაპეზიდან პატარა—გვერდის კარი და გასდგომოდნენ გზას. გასტეხეს პეტროვსკაში საპყრობილის ეკკლესია, საიდანაც გაიტანეს, სხვა ნივთებს გარდა, ოცდა-ათი თუმანი ფულად. ქურდები ვერც ერთგან ვერ იპოვნეს.

დიდსა და პატარას სალაპარაკოდ ამ ჟამად კავკაველ სომხების მოტყუება აქვთ. საიდანღაც, კავკაველ სომხებს მოუვიდათ ერთი ცრუ კაცი, რომელიც თავის თავს ეპისკოპოს ტრიფონოსად უწოდებდა. ამბობენ, თურმე ეს მატყუარა კაცი ეპისკოპოსთან „კელენიკათ“ ყოფილიყოს. ამ ვაჟბატონს როგორღაც მოეპარა ეპისკოპოსისთვის ტანისამოსი, დიპლომი და სხვა ყველაფერი, რაც საჭირო იყო; ეშოვნა თავისთვის კაცი და გამოჰყოლოდა სხვა-და-სხვა ქალაქებს. სხვათა შორის, ეს ცრუ ეპისკოპოსი მოვიდა კავკავშიაც. ეპისკოპოსმა წინ-და-წინვე დეპეშით აცნობათ: „მე, ესა და ეს ეპისკოპოსი, მოვდივარო“. სომხებს, რასაკვირველია, ძრიელ ესიამოვნათ უმაღლეს სასულიერო უწყების წარმომადგენელის სტუმრობა. მოვიდა თუ არა, ცრუ ეპისკოპოსმა სომხების წარმომადგენელთ გამოუცხადა: „ბატონებო, გაგებული გექნებათ, რომ ოსმალეთში ჩვენთთანამოძმეთ ავიწროვებენ, ამიტომ იმათ სასარგებლოდ ფულს ვაგროვებო“. რასაკვირველია, სომხებმა თავიანთი წვლილი არ დაიშურეს. ეპისკოპოსი ერთგან მიცვალებულზედ წესის ასაგებადაც მიიწვიეს და აბაას მანეთზედ ნაკლებ როგორ მიართმევდნენ. ცრუ ეპისკოპოსს ეპისკოპოსის წესების შესრულება ბევრში ეშლებოდა, მაგრამ აბა ვინ გაუბედავდა შენიშვნის მიცემას. ცრუ ეპისკოპოსს იმითი ამართლებდნენ, რომა „ჯერ ყმაწვილი კაცია და გამოუცდელიაო“. ერთმა შემძლებელმა სომეხმა სადილიც გაუმართა. ასე და ამნაირად, ცრუ ეპისკოპოსმა კავკავში რამდენიმე დღე დაჰყო, ბლომა ფული შეაგროვა და გაუდგა გზას არმავირისკენ, მაგრამ, მისდა საუბედუროთ, გზაზე დეპეშა დაეწია და გაბაწრეს კიდეც.

ხოლერის ხმამ კავკავიც დააფაცურა. სწმენდავენ და ასუფთავებენ ქუჩებს, ბაზარს ეზოებსა და სხვას. ბაზარში შემოტანილ უვარგისს შემოუსვლელ ხილს აყრევინებენ. მეტის მეტი სიძვირე ჩამოვარდა კავკავში; არაფრის იაფობა არ არის გარდა რძეულობისა. სიძვირეს ხალხი ომიანობას აწერს.

ყაზახთა ტარსკი-სუნჟის სტანიცაში თერთმეტი ქისტი მისულა ცხენების მოსაპარად. სტანიცის მცველებს გაეგოთ ქისტების მისვლა, მაგრამ, განგებ შეეშვათ სოფელში, თვითონ-კი გამოსავალ გზებში ჩასხდომოდნენ. ქისტებს ათი ცხენი გამოერეკნათ და არხეინად მოუდიოდათ, ეგონათ ვერავინ ვერა გაგვიგო-რაო. მოატანეს თუ არა ჩასაფრებულ ადგილს, მცველებმა დააყარეს თოფები, ოთხი ქისტი მოჰკლეს და ცხენებიც დააყრევინეს. მკვდარ ქისტების წაღება ვეღარ მოახერხეს, ისე გაიქცნენ დანარჩენნი. სოფ. სანების ცხენის და ხარების ჯოგიდან მოიპარეს თერთმეტი ხარი და სამი ცხენი. ბალთაში მეცხვარეებს მიეპარნენ ცხვრის მოსაპარად, მაგრამ მეცხვარეებმა გაუგეს და მოჰკლეს ერთი ქურდი ქისტი.

ამ ჟამად ძლიერ ჩამოცხა. ბარად გახურებული თიბვა-მკაა დღიური მუშის ფასი ექვს აბაზამდის ავიდა. წლევანდელის ცივ და წვიმიან გაზაფხულის წყალობით აქეთ ბევრგან მოსავალმა დაიგვიანა. ნაგვიანევ სიმინდებს სიცხემ მოუჭირა და ცუდი ფერი დაადგა, ტანს ვეღარა შვრება. პურის და თივის მოსავალი წელს აქეთ ბარად, საშუალოზედ მეტია.

კავკაველი

ღამის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 ივლისი

მუკდენი. გუშინ გაიარა ორმა სასანიტარო მატარებელმა. ამ მატარებლებში 800 სალდათამდე და 46 აფიცრამდე იყო. ეს სალდათები და აფიცრები დაიჭრნენ 18 ივლისს სიმუჩენის ბრძოლაში. ბრძოლაში მონაწილენი მოწმობენ, რომ ჩვენი ჯარი მამაცად და მედგრად იბრძოდა. ბრძოლა დაიწყო დილა ადრიან და გასტანა დაღამებამდე. ჩვენი ჯარი სხვა-და-სხვა ადგილას ხიშტებით მივიდა მტერზე და თვალსაჩინო ზარალიც მიაყენა. ამბობენ, იაპონელთა ოთხი ბატალიონი გორაკიდან ჩამოსვლისდროს ჩვენის ბატარეის ყუმბარებმა სრულიად არიესო. მეორე ადგილას ჩვენი ბატალიონი შეესია მტერის თხრილებს. თხრილებში მყოფთ ვერც-კი მოახერხეს დახვედრა და იქვე ამოჟლიტეს. ყველანი ერთხმად ამბობენ, რომ ჯარის უფროსი აუღელვებლად და კარგად მოქმედებდაო. თუმცა მტერი მრავლად იყო, მაგრამ უფროსმა იმდენი მოახერხა, რომ მოვლის ნება არ მისცა, პირ იქით, თვითონ ორჯელ უპირებდა მოვლას მტრის მემარცხენე ფრთეს. როგორც ამბობენ, ჩვენი ზარალი 18 ივლისს 1000 კაცს აღემატება. 19 ივლისს ბრძოლა ჯერ კიდევ იყო.

ჩიფუ. („რეიტ. საავ.“). მოვიდა სამი ევროპიელი. ესენი რუსების მიერ ჩაძირულ გემს „ხიპსენგ“-იდან გადარჩნენ. ახლად მოსულნი ამბობენ, რომ იაპონელებმა 15 ივლისს დაიჭირეს მგლის გორა, რომელიც პორტ-არტურის მახლობლადააო.

ტოკიო. („რეიტ. სააგენტო“). პორტ-არტურის აღებას აქ მოუთმენლად ელიან. აქ დარწმუნებულნი არიან, რომ კრიტიკული მომენტი მოახლოვდა. ჰფიქრობენ, რომ იაპონელთ აქამდისაც შეეძლოთ ფორტების აღება, მაგრამ ისინი თან-და-თანობით უახლოვდებიან ციხეს და წინდახედულად ემზადებიან, რომ არტილერიის საშუალებით შეაძლებინონ ქვეითა ჯარს უკანასკნელის იერიშის მიტანა. ხმა გავრცელდა, რომ მიკადომ სურვილი გამოსთქვა: პორტ-არტურის აღების დროს რაც შეიძლება ნაკლები ადამიანი იქმნას მოკლულიო.

პეტერბურგი. გამოცხადდა უმაღლესი ბრძანებანი: 1) დონის ოლქის დონისა და ჩერკასკის მაზრების და ხარკოვის გუბერნიის ზმიევის მაზრის მცხოვრებლებმა გამოიყვანონ განსაზღვრული რიცხვი ცხენებისა დონის ყაზახთა ზოგიერთ რაზმების ომში გასაგზავნად და 2) რუსეთის ზოგიერთ ნავთსადგურების ომის დასრულებამდე დაცვისათვის დროებით წესების დამტკიცების შესახებ. ეს ნავთსადგურებია: სვეაბორგი, კრონშტადტი, ლიბავა, სევასტოპოლი, ოჩაკოვი და ბათუმი.

22 ივლისი

სტამბოლი. („ვოლფის სააგენტო“). ოსმალეთის მთავრობამ განსაკუთრებულის ნოტით მიჰმართა უცხოელ ელჩებს და სთხოვა, წინადადება მიეცით მაკედონიაში მყოფ თქვენს კონსულებს—მხედველობაში მიიღონ ხილმი-ფაშის რჩევა და სოფლებიდან უამალოთ ნუ წავლენო. ხილმი-ფაშას რჩევა იმან გამოიწვია, რომ, ამბობენ, ბოლგარელთ განზრახვა აქვთ, ერთ-ერთი ევროპიელი კონსული მოიტაცონო. თუ კონსულები ამ წინადადებას არ აასრულებენ, ოსმალეთის მთავრობა არავითარ პასუხს არ აგებს, კონსულებს თუ რამე უბედურება შეემთხვათ.

23 ივლისი

სოფია. ფინანსთა მინისტრმა მოამზადა პროექტი სახელმწიფოებთან დასადებ სავაჭრო ხელ-შეკრულებებისა და წინადადება მისცა სადიპლომატო აგენტებს, მოლაპარაკება დაიწყონ პროექტის საფუძვლების შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) ნაშუადღევის 5 ს. 25 წ. (6 ს. 23 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 10 წ. (12 ს. 8 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 9 ს. 10 წ. (10 ს. 8 წ.).

ბათუმს: 1) სწრაფი № 1 საღამოს 10 ს. (10 ს 58 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 1 ს. [illegible] წ. (2 ს. 22 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის [illegible] ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 31 წ. (3 ს. 29 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.); 2) სამგზავრო № 9/10 დილის 8 ს. (8 ს. 58 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 2 წ. (3 ს.); საფოსტო № 3 ნაშუადღევის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 52 წ. (6 ს. 50 წ.); საქონ.-სამგზ. № 17 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 49 წ. (8 ს. 47 წ.); სამგზავრო № 6 საღამოს 10 ს. 35 წ. (11 ს. 33 წ.).

ერევან-ყარსიდან: საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ.); საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 47 წ. (4 ს. 45 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.); სამგზავრო 9/10 საღამოს 9 ს. 9 წ. (10 ს. 7 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ღამის 12 ს. 53 წ. (1 ს. 51 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 37 წ. (7 ს. 35 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 37 წ. (1 ს. 35 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 ღამის 1 ს. 10 წ. 2 ს. 8 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 9 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 9 ს. 6 წ. (6 ს. 4 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 5 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.), 3) დილის 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.(; 2) საღამოს 8 ს. 45 წ. (9 ს. 43 წ.); 3) ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

შორაპნამდე: № 45/44 ნაშუადღევის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

განცხადებანი

ახალგაზრდა ქალს
ჰსურს ალაგი იქონიოს
აფთიაქებში, კანდიტერებში და მწერლის სხვა-და-სხვა კანტორებში. ადრესი: ველიკოკნიაჟესკის ქ. № 19, არსიევის სახლი, სონა გულიევისა. (3—უ.—1)

ქუთაისში
სამ. [illegible] თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლეს
პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის
რველობის ქვეშ. სამკურნალოში 75
წოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურ
დედათა და თვალით ავადმყოფთათვის,
ბიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკ
კოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით.
დებ სენით და სულით ავადმყოფებს
კურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახ
და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ტფილისში, ელისაბედის ქუჩა № 19, სასტუმ
„ვერსალი“-ს პირდაპირ
იოსებ მაჭავარიანის
სახელოსნო
იღებს ყველანაირ შემოკვეთას როგორც სასტ
როსას, ისე სადურგლოსას, იქვე იყიდება კარგი
სების ნივთები: სასადილო „ბუფეტები“, სტ
და წიგნის შკაფები.
კრიზისის გამოისობით დაკლებულ
სებში. (10—6.—

ვყიდი ფაგლის სარე
ნამჟენ
ვაზებისათვის ფასები მორიგებით. მ
ველთ შეუძლიანთ მომმართონ შემდეგ
რესით: ქუთაისი, ვარლამ ნიკოლოზის
ბურჯანაძეს, ბაზრის ქ. ჰის პირდაპირ—
ნის საწყობში. (2—6



СѢДЕЛЬН
СПЕЦІЯЛЬ
Безъ конкуренціи
Продаются всевозможн. сѣ
მიხაილოვის პრ., სახლი აკ
ვისა, № 92, საზაფხულო ს.
ნიის ახლოს. (წ.—176—65

დაიბეჭდა ცალკე წიგნათ და იყიდება ქართულ
გნის მაღაზიებში ახალი წიგნი
მამულიშვილობა
და მეცნიერე
ივ. ჯავახიშვილისა.
ფასი 15 კაპ. (10—6.—

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»
კიოსკში,
ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღ
კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნებ
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვი- მ.
დისა—პოემა ბაჩანასი . . . —
იოსებ დავითაშვილის ლექსები . . —
ბნელეთ მოთხრობა—მელანიასი . . —
ალ. ყაზბეგის I, ტომი ღირს . . . 1
II და III ტომი თითო . 1
ი. ჭავჭავაძის I ტომი . . . —
იგივე II და III ტომი თითო . —
იგივე IV ტ. ორ წიგნათ . . —
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა. . —
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა . . . —
კაკო წერეთლის I და II ტომი თითო . —
რაფ. ერისთავის I ტომი . .
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი —
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა . —
სიბრძნე ბალავარისა . . . —
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში . —
ღვინის დაყენება პროფეს. გ. პეტრიაშვილისა . . . 1
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა . . . —
დასტურ-ლამა . . . —
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა —
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა . . —
ფიზიოლოგია—ფოსტერისა . . —
ხენთი . . . 1
რძე, მისივე . . . 1
ესევე წიგნები იყიდება ქუთაისში, ქუთ
წიგნების გამომცემელ ამხანაგობის [illegible]ოსკში,
დის ყურში.
პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას-
ბით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების
ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგ
კანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტ
მებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифл
Грузинское Издательское Товарищество.

Доз. цензурою 23 Іюля 1904 г.
ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ.—ბის.
Электропеч. Груз. [illegible]зд. То—ва